განკარგულება:**g-81. 81252674**
თარიღი:**24/09/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №50

2025 წლის ზაფხულის პერიოდში ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ. ა.“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ინფორმაცია 2025 წლის ზაფხულის პერიოდში ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესახებ მიღებული იქნას ცნობად. (დანართი თან ერთვის).

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ (მერის მოვალეობის შემსრულებელი რევაზ ახვლედიანი) შესაბამისი სამსახურის და ა (ა)იპების საქმიანობა წარმართოს ზაფხულის პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის, მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი შ. რუსთაველის ქუჩა №69).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რეზო ხეცურიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი